ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 36

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ.აბასთუმანი 20 აპრილი 2012 წ.

ერთის მხრივ შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“ (დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. № 40) წარმომადგენელი დირექტორის მოადგილის ეკონომიკურ დარგში ამირან ბერიძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), მეორე მხრივ შპს „ტაოგაზი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა გოგოლაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულობას მიაწოდოს სამედიცინო ჟანგბადი და საყოფაცხოვრებო თხევადი გაზი.(შემდგომში „შეკვეთა“).

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „შეკვეთის“ ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით გათვალისწინებულ ნორმებს (სახემწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებს).

2. ღირებულება და გადახდის წესი

2.1 „შემსყიდველი“-სათვის საქონლის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მიწოდების მომენტისათვის გამოწერილი სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

2.2 „შემსყიდველი“ თანხას გადაიხდის საქონლის მიწოდებიდან, სასაქონლო ზედნადების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ჩარიცხვიდან 15 დღის ვადაში.

2.3 გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით. ფორსმაჟულ სიტუაციაში ნაღდი ანგარიშსწორებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

. დაიცვას მის სასაწყობე მეურნეობაში შენახული საქონლისათვის საჭირო აუცილებელი ტემპერატურული და სანიტარული ნორმები;
. უზრუნველყოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა შემკვეთის მოთხოვნილებისადმი.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:
. დროულად გადაუხადოს შეკვეთის ღირებულება შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტზე დაყრდნობით.

4 დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზედ ხელმოწერის დღეს და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღად ითვლება პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ანდა არაჯეროვანი შესრულებისას დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

4.5 ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4.6 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

5. მხარეთა იურიდიული მისამართები	მომწოდებლის რეკვიზიტები:
შ.პ.ს. „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“	შპს „ტაოგაზი“
დ.აბასთუმანი ფალიაშვილის ქ.№40	ახალციხე აბასთუმნის გზატკეცილი
ს/ნ 222717246	ს/ნ 224092773
ა/ა GE84LB0113128445216000	ა/ა 36080060016832
ლიბერთი ბანკი ახალციხის ფილიალი	ტაოპრივატბანკი ახალციხე
ბანკის კოდი 220101466	ბანკის კოდი CAVOGE22

დირექტორის მოადგილე

ეკონომიკურ დარგში: /ა. ბერიძე/

დირექტორი: /ნ. გოგოლაძე/

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის 10 მუხლის მე-3 პუნქტი.